ხაშურის მოამბე

№16 (487) 5 მაისი, ორშაბათი, 2025 წელი

6 მაისს გიორგობაა - გილოცავთ!

ხაშურში აქტიურად გრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარების და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელები საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის დეტალების განხილვას და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ემსახურებოდა.

როგორც შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, 28 აპრილიდან დაიწყო

წყალარინების სამუშაოები ფარნავაზის ქუჩაზე. შესაბამისად, გადაიკეტა ფარნავაზის ქუჩა სურამულას ხიდიდან „გორმედის“ კლინიკის მიმდებარე ტერიტორიამდე. მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ ალტერნატიული გზით თაყაიშვილის ქუჩის გამოყენებით. ფარნავაზის ქუჩაზე სამუშაოები 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება. დღეიდან კი ინტენსიური სამუშაოები დაიწყება ბორჯომის ქუჩაზე და ქუჩა გადაიკეტება ავტოსადგურამდე. მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ ალტერნატიული გზით - აგარის ქუჩის გამოყენებით, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ბორჯომის ქუჩაზე სამუშოების დასრულებისთანავე, მუნიციპალიტეტი გეგმავს ქუჩის სრულ რეაბილიტაციას. გარდა მოასფალტებისა, პროექტის ფარგლებში, მოეწყობა სანიაღვრეები და ტროტუარები.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია, სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მოაწესრიგოს საგზაო ინფრასტრუქტურა, რასაც კომპანია ეტაპობრივად განახორციელებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ, ორმოული რეაბილიტაციის სამუშოებს ჩაატარებს გორგასლის, თამარ მეფის, გორის ქუჩებზე და სურამში. დაგეგმილია იმ ქუჩების სრული რეაბილიტაციაც, სადაც წყალმომარაგების პროექტი დასრულდა. ესენია კახა მეტრეველის, ნიკოლაძის, ბარნოვის, ჯავახიშვილის ქუჩები.

პროექტის განხორციელება, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, მოქალაქეთათვის მნიშვნელოვან დისკომფორტთან არის დაკავშირებული, ამიტომ, მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის მოქალაქეებს მოთმინებისა და გაგებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე წყალმომარაგების 200 კილომეტრიანი ქსელიდან მოსაწყობი დარჩა მხოლოდ 26 კილომეტრი, ხოლო წყალარინების 45 კილომეტრიანი ქსელიდან მოსაწყობია - 13 კილომეტრი. როგორც კონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, პროექტის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი , სახელმწიფო დაფინანსებით, საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს AFD და EU-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტის პარალელურად, სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება: სათავე ნაგებობის, სატუმბო სადგურების, წნევიანი მაგისტრალებისა და რეზერვუარების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO-მ, მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის შეხვედრები ჩაატარა

შეხვედრები შეეხებოდა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განახლებას, რასაც მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს საქართველოს კანონი, სურსათის დანაკარგების, მისი ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ. კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის ოქტომბერს, რომლის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტებს ევალებათ, ნარჩენების მართვის გეგმაში, სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპების ასახვა. FAO-ს წარმომადგენლების განმარტებით, კი, ისინი, სწორედ ამ პროცესების წარმართვაში დაეხმარებიან მუნიციპალიტეტებს.

შეხვედრებს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი,

მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები. მათ, ამ მიმართულებით FAO-სთან თანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს და სამომავლო გეგმებიც დასახეს.

ღონისძიება ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში „მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ლოკალიზაციის გაძლიერება საქართველოში“ საქართველოს მთავრობასთან ერთად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელი პირები ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია „ლოტი f1“ ის წარმომადგენლებს შეხვდნენ

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ავტომაგისტრალზე, ხიდების მშენებლობისას, დაზიანდა ჩუმათელეთი-იტრიის (ორხევის) წყლის სისტემა, რამაც პრობლემა შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას. ჩინური კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, პრობლემა უახლოეს დღეებში გამოსწორდება. მათ ასევე აიღეს, სამომავლოდ, მილსადენის უსაფრთხო ტერიტორიაზე გადატანის ვალდებულება.

მსგავსი ტიპის შეხვედრები, მუნიციპალიტეტსა და სამშენებლო კომპანიებს შორის ხშირად იმართება და ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

ხაშურში, აგარის ქუჩის რეაბილიტაცია გრძელდება

„პროექტის ფარგლებში, ეწყობა საგზაო ნიშნები და მონიშვნები. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი, სამელიორაციო არხის გასწვრივ, იქნება ე.წ. ლითონის ჯებირი -ლითონის თვალამრიდი ზღუდარი და უსაფრთხოების გვერდულები“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხია ბლიაძის განმარტებით, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 1 272 265 ლარს შეადგენს.

აგარის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს - შპს “ოპტიმალ+”-ის ზედამხედველობით მიმდინარეობს.

ზემო სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„ ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება რკინა-ბეტონის საფარი,მოეწყობა სანიაღვრე არხები, მიწისქვეშა კომუნიკაციები და გარე განათება“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხია ბლიაძის განმარტებით, პროექტი გარდამავალია, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 1514 025 ლარს შეადგენს.

სურამში, სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია

„ ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი, ეწყობა სანიაღვრე არხები და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა. სამუშაოები ერთი წლის ვადაში დასრულდება.“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხია ბლიაძის განმარტებით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, დაბა სურამში, წერეთლის ქუჩისა და შარტავას ქუჩების რეაბილიტაციაც.

დაბა სურამში, სააკაძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 368 200 ლარს შეადგენს.

მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო მოსახლეობას შინაური ცხოველების სტერილიზაციას უფასოდ სთავაზობს

მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ყოველი კვირის პარასკევს. მოქალაქე იხდის მხოლოდ ჩიპის თვითღირებულების საფასურს - 19 ლარს. მან თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აქციის ფარგლებში, მოხდება ძაღლის და კატის სტერილიზაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, ექიმი - ვეტერინარის კონსულტაცია.

აქციის მიზანია სტერილიზაციის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ცხოველების რეგისტრაცია.

სააგენტო რეგისტრირებული ცხოველებისა და მათი პატრონების შესახებ მონაცემებს ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღრიცხავს. რეგისტრირებული და იდენტიფიცირებული ცხოველის პოვნის შემთხვევაში, სააგენტო მარტივად ადგენს პატრონის ვინაობას.

დაგვიკავშირდით - 599 41 45 49

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15).

ქარტა - ადგ., მთა სამხრეთის მხარეს.

ქაშვეთის ღელე - ადგ., ღელე აღმოსავლეთის მხარეს, ,,ქაშვეთის ეკლესიას ჩამოუდის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. ჩემს მახსოვრობაში ღელეს აკურთხებდა ხოლმე მღვდელი, ბავშვები ერთმანეთს ვასწრებდით, თუნგებით აგვეღო ნაკურთხი წყალი”.

ღონღაძის ქარტა - ადგ., მთა სამხრეთის მხარეს.

ღორინამკლის სვანი - ადგ., სვანი დასავლეთის მხარეს.

შავღლია - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,სამკლეს სერთან ახლოს, მისი ფერდია. წიწვნარის ჯიშის ხე იყო. მენშევიკების დროს გაჩეხეს. ახლა ნაკლებად არის წიწვიანი ხე, უფრო ფოთლოვანია”.

შინდის მიწები - ადგ., სათესი.

ციცქიშვილების ნაქერალი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,გზის აღმოსავლეთით ციცქიშვილებისა, დასავლეთით კურტანიძეების”.

ციცქიშვილების უბანი - ადგ., უბანი აღმოსავლეთ ნაწილში.

წიფლნარი ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ნაქერალის ზემოთ არის, წიფლნარია უმეტესი”.

ჭენჭყის თავი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,აქედან გამოდის ნოზაძეების წყარო. ალბათ, ოდესღაც სველი ადგილი იყო. დაჭაობებულ ადგილს ეძახიან ჭენჭყობს”. ნოზაძეებს შორის, 1947 წლის 25 ნოემბრის გაყრის განაჩენით, სინო სოსიკოს ძე ნოზაძეს ერგო ჭენჭყის თავის ბაღის მეოთხედი, დანაჩენი გაიყო მის შვილებს შორის .

ხამითა - ადგ., ტყე სამხრეთი მხარეს. `ხამი ტყე იყო”.

სოფელი რ ბ ო ნ ა

აეროდრომი - ადგილი, ,,წინათ აქ აეროდრომი ყოფილა”.

ამილახვრის მინდორი - ადგ., სათესი, ტყე, წყარო პირველ რბონაში.

ანაგარა - ადგ., ნასოფლარი, სათესი, სერი.

ანაგარას მინდორი - ადგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,აქ არის წმინდა გიორგის საჯვარე. ღამესაც ათევენ, სანთელსაც ვანთებდით”.

ანაგარას წყარო - ადგ., წყარო.

ანწლების წყალი - ადგ., წყარო პირველ რბონაში.

აწყურის ტყე - ადგ., ტყე პირველ რბონაში.

აწყურის წყალი - ადგ., წყარო პირველ რბონაში.

ახოები - ადგ., ტყე.

ბარბაქაძეების წყარო - ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს.

ბარბაქაძეების მიწები - ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს.

ბარბაქაძეების ნასახლარი - ადგ., ნამოსახლარი სამხრეთის მხარეს.

კლდე - ადგ., კლდე პირველ რბონაში.

ბერუას ქოხი - ადგ., ტყე, საძოვარი პირველ რბონაში.

ბრაგუნა - ადგ., მთა, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ბრაგუნის ძირი - ადგილი სამხრეთის მხარეს პირველ რბონაში.

გაკოდილი გზა - ადგ., გზა პირველ რბონაში.

გოგალაძეების წყარო - ადგ., წყარო მეორე რბონში.

გუდაძის გზა - ადგ., გზა პირველ რბონაში.

დამჩხრალა - ადგ., მდინარე.

დიდი ახო - ადგ., სახნავი.

დიდვაკე- ადგ., სათესი.

ვაკე - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ვაკე ადგილია. საძოვრად არის გაშვებული”.

ზარების ღელე - ადგ., ღელე პირველ რბონაში.

თხილნარის ღელე - ადგ., ღელე

კალოს ვენახი - ადგ., ვენახი პირველ რბონაში. ხაჩიძეებს შორის, 1947 წლის 17 ივნისის გაყრის განაჩენით, გერისო დავითის ძე ხაჩიძეს ერგო ,,სამოსახლო ვენახის თავზე კალოს ვენახში” .

კაპნარი – ადგ., ტყე პირველ რბონაში.

კვინიკაძისეული - ადგილი პირველ რბონაში. ხაჩიძეებს შორის 1947 წლის 17 ივნისის გაყრის განაჩენით ვასილ დავითის ძე ხაჩიძეს ,,სამოსახლოდ ერგო კვინიკაძისეული სამოსახლო”, ,,ზედა ვენახში ნამყენი კვინიკაძისეულის თავზე დიდი ვენახი”, ხოლო გერისო დავითის ძე ხაჩიძეს ერგო ,,...კვინიკაძისეული ბოლოზე დიდი ვენახი თავზე ნახევარი”.

კირილეს ახო - ადგ., სახნავი.

კორონისერი - ადგ., ტყე პირველ რბონაში.

კურტანიძეების წყარო - ადგ., წყარო.

კურუხი - ადგ., ტყე, სათესი პირველ რბონაში.

ლექსოს ნაქოხარი - ადგ., პირველ რბონაში.

მარიამწყარო - ადგ., წყარო.

მეორე რბონა - უბანი რბონაში.

მინდორი - ადგ., სათიბი მტკვრის სანაპიროზე.

მოკოდილი კლდე - ადგ., კლდე პირველ რბონაში.

ნაგუთი - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გუთნით ხნავდნენ, კოდისწყაროსია”.

ნათლისმცემელი - ადგ., სალოცავი სოფელში.

ნაკალოვარი//ნაკალოვრები - ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. `კალოები ჰქონიათ ძველად”. ხაჩიძეებს შორის, 1947 წლის 17 ივნისის გაყრის განაჩენით, დათიკო მურმანის ძე ხაჩიძეს ,,...ერგო... ნკალოვარი მისავალთან მესამედი” .

ნალობიერი - ადგ., სახნავი. `ახლა ტყეა”.

ნარუჯი - ადგ., ტყე, მთა, სერი.

ნასილები - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,როცა ნიაღვარი მოდის იმ ადგილს, სილამს. ახლა საძოვარია და სათიბია”.

ოჭივარა - ადგ., მთა

პატარა ახო - ადგ., სახნავი.

პატარა ღორინამკალი - ადგ., მთა პირველ რბონაში.

პირველი რბონა - ადგ., უბანი რბონაში.

რბონის ღელე - ადგ., ღელე პირველ რბონაში.

რბონის წყარო - ადგ., წყარო.

რბონის ხიდი - ადგ., ხიდი მტკვარზე რბონასთან.

საამირეჯიბო - ადგ., ტყე პირველ რბონაში.

სათივის წყარო - ადგ., წყარო

სამკლის სერი - ადგ., სათესი

საქუხები - ადგ., ტყე, მდინარე, ჩანჩქერი პირველ რბონაში.

სახელმწიფო ტყე - ადგ., ტყე ღორინამკლის ქვედა გვერდზე.

სახერგები - ადგ., ტყე პირველ რბონაში.

სახტრის გვერდი - ადგილი პირველ რბონაში. ,,ხაჩიძეებს შორის, 1947 წლის 17 ივნისის გაყრის განაჩენით, დავით მურმანიძის ძე ხაჩიძეს ,,ერგო ვენახი /სახტრის/ გვერდში ნამყენი მთლიანად, ალიკარტი მესამედი”, ვასილ დავითის ძე ხაჩიძეს ერგო ,,...ვენახი სახტრის გვერდში ალიკარტი მესმედი ზედა ვენახში” .

ტრიალა - ადგ., სათესი მტკვარზე პირველ რბონასთან.

უკანაღელე - ადგ., ტყე, ღელე პირველ რბონაში.

ურთხნალი - ადგ., ტყე, ღელე პირველ რბონაში.

ქანიელი - ადგ., გორაკი, სერი პირველ რბონაში

ქარტა - ადგ., მთაპირველ რბონაში.

ქარტის წყალი - ადგ., წყარო პირველ რბონაში.

ქონდრის სერი - ადგ., სერი. ,,ტყის ქონდარია ბევრი”.

ქონდრის ძირი - ადგ., გორაკი პირველ რბონაში

ქოჩორა - ადგ., გორაკი.

ღამურას კლდე - ადგ., კლდე, გამოქვაბული.

ღორინამკალი - ადგ., მთის მწვერვალი სამხრეთის მხარეს.

ღელის პირები - ადგ., სათესი

შავღლიას ფარდი - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჩერო ადგილია”.

წითელი კლდე - ადგ., სათესი პირველ რბონაში.

წიფლნარი - ადგ., ტყე, საძოვარი.

წყაროს ღელე - ადგ., ღელე.

ჭალის ფარდი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

ჭალის ღელე - ადგ., ღელე.

ჭაობის წყარო - ადგ., წყარო პირველ რბონაში.

ჭაჭარაქი - ადგ., ტყე.

ხაროები - ადგილი პირველ რბონაში სამხრეთის მხარეს. ,,ახლაც არის ხაროები. სამი ხარო იყო. პურის მარცვალს ინახავდნენ”.

ჯოღუეთი - ადგ., ტყე, მიუდგომელი ადგილი პირველ რბონაში.

სოფელი ქ ა შ ვ ე თ ი

ანაგარები - ადგილი ჩრდილო-დასავლეთით. მტკვრის მარჯვნივ მხარეს, ,,ცხრამუხის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრიდან იწყება. ნაგარი გადამწვარს ნიშნავს, ადრე გადამწვარს“.

ამილახვრის ტყე - ადგ., ტყე.

ახო - ადგ., ტყე, საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მთის ფერდობია”. ბესიას წყარო - ადგ., წყარო.

ბეჯითი კლდე - ადგ., ტყე.

ბრაგუნა - ადგ., მთა, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს.

განები - ადგ., სათესი

გაღმა ყანა - ადგ., სათესი

გველაქვისწყარო - ადგ., წყარო.

გიგოს წყარო – ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ციცქიშვილის კაცი იყო”.

გოგლიქაფოს მინდორი - ადგ., მინდორი, საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა ფიჭვნარია გაშენებული”.

გოლიქაფოს ღელე – ადგ., ღელე ჩამოდის მთიდან, ეკლესიის გადაღმა სამხრეთის მხარეს. უერთდება თაგვეთის წყალს, შემდეგ მტკვარს.

გრძელური - ადგ., სათესი.

დაბაყურა - ადგ., სათესი.

დამპალა - ადგ., დაჭაობებული ადგილი. ძველი სახელწოდება ქაშვეთისა. დანგრეულები - ადგ., იგივეა რაც მელიების მიწები.

დატოვებულები - ადგ., სათესი, სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. `ეს ფართობი ქაშვეთელებს გვეკუთვნოდა, კოდიწყაროსთან არის. მივატოვეთ”.

დიდღელეს თავი - ადგ., ღელე სამხრეთის მხარეს.

ეკას ბაღი - ადგ., ბაღი დასავლეთის მხარეს. ,,ლომიძის ქალი იყო. ჩასიძებული იყო ჭიათურელი გურული ლომიძეზე”.

ეკლარი - ადგ., სათესი

თისერი//მთის სერი - ადგ.,

კაპნარი - ადგ., ტყე.

კოხტა გორა - ადგ., ტყე, სერი.

ლაჩაყის გზა - ადგ., გზა.

ლაჩაყურა - ადგ., სათესი.

მარიამის წყარო - ადგ., წყარო.

მაყვლნარი - ადგილი

მგლისორო - ადგილი

მელიების მიწები - ადგ., სათესი, სახნავი, სათიბი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მელა უფრო ხშირად არის. კიდევ უძახიან დანგრეულს”

მელიებისორო//მელისორები - ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს, მუხნარში.

მთაგუეთი - ადგ., მთა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

მუხნარი - ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,სულ მუხნარია”. მშრალი ღელე - ადგ., ღელე, სათესი.

ნადეჟნას წყარო - ადგ., წყარო. დასავლეთის მხარეს. ,,ქალს ერქვა ნადეჟნა”, ,,ციცქიშვილი გიგუცას ცოლი იყო”.

ნაკალოვარი - ადგ., სათესი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

ნალობიარები - ადგ., ტყე, სვანი

ნაპირაკლდე - ადგილი

ნასოფლარი - ადგილი, ძველი ნასოფლარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გუთნით რომ ვხნავდით, ნიადაგში ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნამტვრევები”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- იმუნიზაცია -

ჯანმრთელობა ჩვენს ხელშია - აიცერი და იყავი დაცული

ევროპის იმუნიზაციის კვირეული, ყოველწლიურად, აპრილის ბოლო კვირას აღინიშნება სლოგანით „აცერი და დაიცავი“. მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება იმუნიზაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომელიც ნებისმიერი ასაკის ადამიანს იცავს ვაქცინით მართვადი დაავადებებისგან.

• იმუნიზაცია შესულია ყველა დროის უდიდეს სამედიცინო მიღწევათა ათეულში და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტური ინტერვენციაა.

• ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, იმუნიზაციის მეშვეობით, მსოფლიოში, ყოველწლიურად, 3.5-5 მილიონი სიცოცხლის

გადარჩენა ხდება შესაძლებელი ისეთი დაავადებებისგან, როგორიცაა წითელა, დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა და სხვა.

• იმუნიზაცია მოსახლეობას იცავს ვაქცინით მართვადი ინფექციებისა და მათგან გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დარღვევებისაგან. იმუნიზაციის პროგრამების ფართომასშტაბიანი და ეფექტური განხორციელების შედეგად, მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა ვაქცინით მართვადი ინფექციებით ავადობა და სიკვდილიანობა.

• პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საშუალებით ევროპის რეგიონს მიენიჭა პოლიომიელიტისგან თავისუფალი რეგიონის სტატუსი. დღეისათვის, ვაქცინაციის სრული სარგებლის რეალიზაციით, შესაძლებელია წითელას და წითურას, B ჰეპატიტის და საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაცია.

• მიმდინარე წლის კამპანიის ძირითადი თემა “იმუნიზაცია ყველასთვის - ჩვენ ეს შეგვიძლია“ ხაზს უსვამს იმუნიზაციით მოცვის ხარვეზების აღმოფხვრაში ადამიანის ინდივიდუალურ და საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობას. ევროპის იმუნიზაციის კვირეული ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იცავს იმუნიზაცია ადამიანის სიცოცხლეს დღეს და რისი მიღწევა შეიძლება მომდევნო ათწლეულებში იმის გათვალისწინებით, რომ უფრო მეტი ბავშვი და ზრდასრული მიიღებს ჯანმრთელობის დასაცავად აუცილებელ ვაქცინებს.

• ვაქცინით მართვადი ინფექციებისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, საქართველოში მოქმედებს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს უფასო ვაქცინაციას აცრების კალენდრით დამტკიცებული ვაქცინებით.

• სახელმწიფო პროგრამა ასევე მოიცავს სეზონური გრიპის, ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინაციას სხვადასხვა რისკ-ჯგუფში და ანტირაბიული და სხვა სტრატეგიული პრეპარატებით უზრუნველყოფას.

იმუნიზაციის შესახებ საუბრობს ხაშურის ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ჩიქოვანი:

ყოველი წლის აპრილის ბოლო კვირას მიმდინარეობს ევროპის იმუნიზაციის კვირეული, რომელშიც რამდენიმე ათეული წელია საქართველოც ჩართულია, მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტიც. წელსაც, იმუნიზაციის კვირეული 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა, ძირითადად ყურადღება მახვილდება ხაშურის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის მიმდინარეობაზე და როგორც სამედიცინო პერსონალის, ისე მშობლების გააქტიურებაზე, სახელმწიფო პროგრამებით არსებული აცრების ნორმალურად ჩატარებისათვის. ჯანდაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრები ჩატარდა ხაშურის #1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლებთან, სოფლის ამბულატორიების სამედიცინო პერსონალთან, ხაშურის ჰოსპიტალის პირველადი ჯანდაცვის რგოლთან, სოფელ ალის საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებთან და სკოლებისა და საბავშვო ბაღების სამედიცინო პერსონალთან.

განვიხილეთ საქართველოში ინფექციური დაავადებების გავრცელებასთან არსებულ მდგომარეობა. ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც საკმაოდ გააქტიურდა წითელას შემთხვევები. უნდა აღინიშნოს, რომ ხაშურის რაიონში ხუთი წლის განმავლობაში არ გვქონია წითელას შემთხვევა და უკვე ორი შემთხვევა დაფიქსირდა მოცემული დროისათვის. ორივე შემთხვევაში ზრდასრულ ასაკში და ორივე მათგანი არ იყო ასაკობრივად აცრილი წითელაზე.

აშშ - ში, მიმდინარე წელს, წითელას 800 - ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული და 4 გარდაცვალება, ევროპაში 28 000 შემთხვევა და ჩვენთან 230 შემთხვევაა. საქართველოში წითელას შემთხვევების ძირითადი მასა მოდის თბილისსა და ქვემო ქართლზე, შიდა ქართლში ქარელის რაიონზე მოდის წითელას შემთხვევების დიდი წილი და ხაშურში დაფიქსირებული წითელას ორივე შემთხვევა არის ქარელის რაიონთან კონტაქტი.

ერთიც უნდა აღინიშნოს. ჩემი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელად მუშაობის განმავლობაში, თითქმის არ გვქონია ტეტანუსის შემთხვევები და წელს დაგვიფიქსირდა ტეტანუსის შემთხვევა 15-16 წლის მოზარდთან, რომელიც არ იყო აცრილი 14 წლის ასაკში. საბედნიეროდ, ბავშვი გამოჯანმრთელდა. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების პრევენციისთვის აცრას.

წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა არის მრავალი ათეული წლის წინ შექმნილი დახვეწილი, დაწმენდილი ვაქცინა. განსაკუთრებით წითელა და წითურაც ისეთი დაავადებებია, რომლებსაც შემდგომში აქვთ ძალიან ცუდი პროგნოზი მამაკაცებშიც და ქალბატონებშიც, განსაკუთრებით ორსულებისთვის ქმნის ძალიან მძიმე მდგომარეობას.

ზოგადად მთელს საქართველოში, არა მარტო ხაშურის მუნიციპალიტეტში, ძალიან დაბალია იმუნიზაციის მაჩვენებელი იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს. კოვიდის პერიოდში დაიწია აცრების მოცვის მაჩვენებელმა. თუ გვინდა, რომ ინფექცია არ გავრცელდეს, იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი 95% უნდა იყოს. წითელაზე კი - 98%. მხოლოდ ჩვენი შვილის დაცვაზე კი არ უნდა ვიფიქროდ, არამედ სხვისი შვილიც უნდა დავიცვათ. არსებობს 1%, რომლებიც სხვა ჯანმრთელობის პრობლემების გამო მართლა ვერ იცრება. მათ გარშემო ყველა რომ აიცრება, დაავადების გამავრცელებელი არავინ დარჩება და ესაა მნიშვნელოვანი. ამაზეც უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ. ყველას მოვუწოდებ, მშობლებსაც და მოსახლეობას, რომ გაათვითცნობიერონ იმუნიზაციის მნიშვნელობა. თავის დროზე აცრან ბავშვები. ჯანმრთელობა ჩვენს ხელშია!

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ სივრცეში, სტრატეგიული დოკუმენტის -ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა

შეკრებილებს, განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდეს შპს „ურბანიკას“ ხელმძღვანელმა ირაკლი მურღულიამ და შპს „ალპასეს“ წარმომადგენელმა სევა გოგინაშვილმა. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება წრმოადგინა, გარემოს დაცვის სპეციალისტმა კახა ბახტაძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელმა ლია ჯიქურაშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მიღების მიზნით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები, მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge

„მნიშვნელოვანია, რომ საფუძველი ეყრება სოფლის აღდგენას, ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება საინჟინრო კომუნიკაციებით, მოეწყობა სარეკრეაციო სივრცეები. მუნიციპალიტეტი ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ ინიციატივებს.” -აღნიშნეს შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

- 21 საუკუნის პროფესიები -

სალომე გოგინაშვილი : - ერთ ადგილზე არასოდეს გავჩერდები, მინდა უფრო მეტი შევთავაზო ქართულ აუდიტორიას...

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გაზეთის მკითხველს,ძალიან უყვარს ისეთი რუბრიკების კითხვა, სადაც ჩვენს წარმატებულ თანამოქალაქეებს ვაცნობთ, ვისი საქმიანობაც მათთვის შესაძლოა ნაცნობიც კია, თუმცა არ იციან გზა, რომელიც ამ წარმატებამდე განვლეს - გზა,რომელიც დიდ შრომასთან, გამოწვევებთან, ბრძოლასთანაა დაკავშირებული. ჩემთვის,

ორმაგად სასიამოვნოა, როცა ჩემი რესპონდენტი ქალია. დღეს, სალომე გოგინაშვილს გაგაცნობთ, წარმატებულ ციფრულ მარკეტერს, რომელმაც ძირითადი, აკადემიური მიმართულება შეიცვალა და მისთვის ძალიან სასიამოვნო სფეროში გადაინაცვლა. სალომე ნამდვილადაა მაგალითი იმ შრომისმოყვარეობის, მიზანსწრაფულობის, რასაც ცხოვრებაში მთავარ მიზნამდე მივყავართ:

-სალომე, როგორც ვიცი, სკოლაში ძალიან აქტიური მოსწავლე იყავი, როგორ მოხდა შენი პროფესიული გზის არჩევა?

- მართალია, სკოლაში ძალიან აქტიური ვიყავი, მახსოვს, დილით როგორ მიხაროდა წასვლა. სწავ-ლის პროცესიც ძალიან მიყვარდა და ვცდილობდი, ბავშვობიდან ნებისმიერი პატარა გამოწვევაც მარტოს გადამელახა, მომწონდა, როდესაც მარტო ვართმევდი თავს ჩემს პასუხიმსგებლობებს. მახსოვს, ჩემი ბაღის მასწავლებელი სულ იხსენებდა, როგორ ვამშვიდებდი ხოლმე ბაღში ატირებულ ბავშვებს სიმღერით. მომწონდა ზრუნვაც და ლიდერობაც, როდესაც გავლენა მქონდა გუნდზე-ეს ჩემში ბევრ უნარებს ავითარებდა ბავშვობდანვე. მეცხრე კლასიდან სკოლა გამოვიცვალე და ხაშურის მესამე საჯარო სკოლაში გადავედი. კლასში დიდი ქაოსი დამხვდა და აქაც ისე აღმოჩდა, რომ როგორც ფრიადოსანმა, სკოლაში ყურადღება მივიქციე. ძალიან მიყვარდა კლასში სხვადასხვა აქტივობების ჩატარება, რაშიც სკოლის ადმინისტრაციაც ძალიან მიწყობდა ხოლმე ხელს

ყოველთვის მინდოდა იურიდიულზე ან ეკონომიურზე სწავლა. გადაწყვეტილება შევცვალე საუნივერსიტეტო ანკეტის შევსების დროს და ჩავწერე პირველი საერთაშორისო ურთიერთობები, რადგან მაშინ ძალიან პრესტიჟული იყო და მაღალი კონკურსი ჰქონდათ. ჩავირიცხე და დავამთავრე სერთაშორისო ურთიერთობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

-საქართველოში სტუდენტობას როგორ გაიხსენებ?

-საქართველოში სტუდენტობა კარგად არ მახსოვს. ძალიან რთული და სტრესული სასწავლო პროცესი იყო, რამაც ვერ შემაყვარა ვერც სტუდენტობა და ვერც ჩემი პროფესია. სტუდეტობა გერმანიაში სწვალის დროს შევიყვარე.

-გერმანიაში სწავლას როგორ გაიხსენებ, რა მოგცა გერმანულმა გამოცდილებამ?

-ამ საკითხზე დაუღალავად შემიძლია საუბარი. ცხოვრებაში ყველაზე დიდი აკადემიური თუ ცხოვრებისეული გამოცდილება გერმანიამ მომცა. მახსოვს ,როგორი რთული იყო საბუთების მოგროვების პროცესი დ მახსოვს, როდესაც დეკანთან შევედი კაბინეტში, ასეთი რამ მითხრა - ხომ იცით, რომ სერთაშორისო სტუდენტებს შორის მაღალია კონკურსი და იმედგაცრუებული არ დარჩეთო. ეს ჩემთვის არას ნიშნავდა, მაგრამ არ დავნებდი. მახსოვს, იმ ზაფხულს მაიორკაზე ვისვენებდი და ზუსტად მახსოვს ის ემოცია, მეილი რომ მივიღე ზუსტად იმ დეკანისგან, რომელიც მილოცავდა უნივერსიტეტში ჩარიცხვას. ეს იმხელა სიხარული იყო, ვერ აღვწერ.

სწავლის პროცესი მარტივი არ ყოფილა, მითუმეტეს, გერანული ენა ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი. თუმცა, უნივერსიტეტი და პროფესორები, ის გარემო და დამოკიდებულებები, იყო ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. რომ მივიღე, მახსოვს, პროფსორები როგორ ასწორებდნენ ჩემს ესეებს უამრავი გამატიკული შეცდომებით, მათთვის ჩემი უნარები იყო მნიშვნელოვანი.

სამაგისტრის წერის პროცესი რომელიც 9 თვე გაგრძელდა, ყველაზე დასამახსოვრებელი ეტაპი იყო ჩემთვის. მასწავლა მოთმინება, ნებისყოფა, კიდევ მეტი შრომისუნარიანობა შემძინა.

-საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როგორ განვითარდა შენი კარიერული გზა?

-საქართველოში დაბრუნებამდე პრაქტიკები გავიარე ბერლინში საქართველოს საელჩოში, სადაც ასევე დიდი გამოცდილება მივიღე და ვფიქრობდი, რომ როდესაც დავბრუნდებოდი, ჩემი ძირითადი პროფესიით გავაგრძელებდი კარიერას. თუმცა, ასე არ მოხდა.

-ცოტა ხნის წინ, რადიკალურად შეიცვალე მიმართულება და ციფრულ მარკეტინგში გადიანაცვლე, რამ განაპირობა ეს არჩევანი?



Universität Hamburg
DER FORSCHUNG | DER LEHRE | DER BILDUNG

Zur Wirksamkeit von EU-Sanktionen gegen Russland seit der Annexion der Krim

Abschlussarbeit

Vorgelegt von
Salome Goginashvili
Bieberstrasse 1
20146 Hamburg
Email: Salome.Goginashvili@studium.uni-hamburg.de
Matrikel-Nr.: 6943881

Fakultät für Wirtschafts- und Sozialwissenschaften
Fachbereich Sozialwissenschaften
Studiengang: M.A. Politikwissenschaft
Spezialisierung: Vergleichende und Regionalstudien (VRS)

Erstgutachter: Prof. Dr. Cord-Heinrich Jakobeit
Zweitgutachter: Prof. Dr. Antje Wiener

Abgabedatum: 02.09.2019

-ციფრულ მარკეტინგთან შეხება პირველად გერმანიაში მქონდა. ვმუშაობდი ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროექტების მართვის სამსახურში, სადაც უშუალოდ მარკეტერების გუნდთან მიწევდა მუშაობა და გრაფიკული დიზაინის უნარების დახვეწა მიწევდა. თუმცა, მაშინ ვერასდროს წარმომედგინა, რომ ეს საქმიანობა ჩემს მთავარ პროფესიად იქცეოდა.

კოვიდის შემდეგ ციფრული სამყარო განსაკუთრებით მასიურად გაჩნდა თითოეული ადამიანის თუ ბიზნესის ცხოვრებაში და ყველაფერმა ტრადიციულმა ძალა დაკარგა - გადაინაცვლა ციფრულ სამყაროში. როდესაც საქართელოში დავბრუნდი და აქ ბაზარი შევისწავლე, მივხვდი, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს პროფესია მალე ყველაზე აქტუალური და პერსპექტიული გახდებოდა და ასეც მოხდა. დღეს, მე ვარ ციფრული მარკეტინგის სამყაროში და ვეხმარები ერთის მხრივ ბიზნესებს საკუთარი ბრენდის, პროდუქტის ან სერვისის განვითარებაში მარკეტინგული თვალსაზრისით და მეორეს მხრივ, ვასწავლი ამ პროფესიას. მენტორობის გამოცდილება საკმაოდ დიდი მაქვს.

-მარკეტინგული ცოდნის გაზიარებაზეც რომ გვესაუბრო, ონლაინ სასწავლო კურსებზე?

-ჩემი ონლაინ სასწავლო პროგრამა ორიენტირებული და ფოკუსირებულია თანამედროვე მარკეტინგულ სტანდარტებზე და მათ განვითარებაზე. ჩემს აუდიტორიას წარმოადგენენ ერთის მხრის ბიზნესმენები, რომელთაც სურთ თავად ფლობდნენ მარკეტინგულ უნარებსა და ტექნიკებს და მეორეს მხრივ, ადამიანები, რომელთანაც სურთ ახალი ციფრული, ინოვაციური პროფესიის დაუფლება.

-რამდენად დიდია მომართვიანობა და მოთხოვნილება?

-მომართვიანობა და მოთხოვნა ჩემს პროგრამაზე იმაზე დიდია, ვიდრე ამისი მოლოდინი მქონდა. მე ყოველთვის ჩემს აუდიტორიას ვუსმენ და ისე ვვითარდები. ზუსტად ამან მომცა ის ბიძგი, რომ ახალი ონლაინ კურსი შემეთვაზებინა - ბიზნესის მართვის ხელოვნება: იმპორტი, მარკეტინგი და გაყიდვები. ვიწყებ 5 მაისს და მოთხოვნა საკმაოდ მაღალი ჩანს.

-შენი სამომავლო გეგმები,საით მიდის?

-სამომავლოდ, ვიცი, რომ დიდ ნაბიჯებს გადავდგამ, თუმცა, ძალიან შორეული პერსპექტივით არასდროს არაფერს ვგეგმავ. ზუსტად ვიცი, რომ ცხოვრების ყოველი ეტაპი თავად მიმითითებს ცვლილებებისა და განვითრებისკენ და ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ისიც ვიცი, რომ ერთ ადგილზე ვერასდროს გავჩერდები. მინდა, რომ უფრო მეტი შევთავაზო ქართულ აუდიტორიას და ამისთვის, ვფიქრობ, საკმარისი გამოცდილება მაქვს მიღებული. ამიტომ, ჩემგან ელოდეთ მუდმივ სიახლეებს.

თ. ჯავახიშვილი

- ვემსახურები საქართველოს -

მადლობის ბარათები - ოჯახის წევრებს

თავდაცვის სამინისტროს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სახელით შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონული ცენტრის ხაშურის მუნიციპალურმა განყოფილებამ მადლობის წერილები გადასცა იმ წვევამდელების ოჯახის წევრებს, რომლებმაც 2025 წლის პირველ ეტაპზე ნებაყოფლობით აირჩიეს და მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ემსახურათ წვევამდელთა რვათვიან ეროვნულ სამხედრო სამსახურში.

ემსახურო ჩვენს ქვეყანას, უდიდეს პატივისცემას და დაფასებას იმსახურებს.

საქართველოს თავდაცვის ძალებში მსახური არამხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება, არამედ აძლიერებს ახალგაზრდების პასუხისმგებლობას და უყალიბებს მათ დამოუკიდებლობას და პროფესიონალიზმს.

გვჯერა, რომ წვევამდელები: თორნიკე კობალაძე, რეზიკო ჯელაძე, ნიკოლოზ ლომიძე, სერგო გოგალაძე, მათე თენოშვილი, გივი ხაჩიძე, ოთიკო გელაშვილი, უჩა გელაშვილი, დავით ფერაძე, ნიკოლოზ ზანგალაძე, ომარ ჩუბინიძე, ალექსი ლაბაძე, ლუკა მსხალაძე ღირსეულად და წარმატებით გაართმევენ თავს ამ საპატიო მოვალეობას.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობითი მსახურების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება მუნიციპალიტეტის მერიისა და თავდაცვის სამინისტროს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობით განხორციელდა.

ხაშურის თოჯინების თეატრის სცენაზე ინტეგრირებული თეატრის "აზდაკის ბაღის" წარმოდგენა გაიმართა

"აზდაკის ბაღის" მსახიობებმა მაყურებელს ნოდარ დუმბაძის „Hellados" წარმოუდგინეს.

სპექტაკლს ესწრებოდნენ მეორე სკოლასთან არსებული შშმ ბავშვთა დღის

ცენტრის, "მომავლის სახლის" და ''საზოგადოება ბილიკის'' ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის" ბენეფიციარები.

სპექტაკლის ჩვენება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და ა(ა)იპ "კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის" მხარდაჭერით გაიმართა.

- ჭადრაკი -

ხაშურის #1 საჯარო სკოლა რეგიონულ ტურნირზე ითამაშებს

26 აპრილს, ხაშურის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა რაიონული ჩემპიონატი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 22 სკოლის გუნდმა 88 პატარა მოჭადრაკის მონაწილეობით, ღირსეულად გაართვეს თავი მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, დიდი ინტერესითა და მოტივაციით ჩაატარეს ფინალური თამაშები, ფინალში გასული სურამის N 4 და ხაშურის N1 სკოლის გუნდების თამაშში გამოვლინდა გამარჯვებული - სსიპ ხაშურის N 1 სკოლის მოჭადრაკეთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რეგიონალურ ტურნირზე, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატზე, თბილისში, ნონა გაფრინდაშვილის თასის მოსაპოვებლად.

ცხადდება კონკურსი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და Pascal STEAM Community გაცნობებთ, რომ ხაშურში 10-დან 15 წლამდე მოზარდებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ 4-თვიანი სასწავლო კურსი, STEAM მიმართულებით და მიიღონ სერტიფიცირებული, აკადემიური, ხარისხიანი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა.

ამ მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და Pascal STEAM Community-ის მიერ ცხადდება ერთობლივი კონკურსი, რომელიც გულისხმობს 30 მოსწავლის მიღებას რობოტიკისა და პროგრამირების მიმართულებით.

მოსწავლეებს სრულად დაუფინანსდებათ სწავლა და გადაეცემათ კურსის გასავლელად საჭირო ტექნიკა და მოწყობილობები.

გაკვეთილები ორი - თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან შედგება.

მოსწავლეები იღებენ თეორიულ ცოდნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ და შემდეგ ამ ცოდნაზე დაყრდნობით, კონკრეტული მახასიათებლებისა და მიღებულიინფორმაციის გათვალისწინებით ქმნიან - აწყობენ და აპროგრამებენ რობოტებს.

კურსის განმავლობაში მოსწავლეები ისწავლიან:

ლეგო;

რობოტები და მათი მრავალსახეობები;

რობოტების მუშაობის პრონციპები;

მარტივი მექანიზმები და მოწყობილობები;

სენსორები, პლატები, დრაივერები;

ელექტრო ინჟინერიის საფუძვლები;

ელექტრული სქემების შექმნა;

კოდირება;

სიმულატორები;

mBlock პროგრამები mBot რობოტებისათვის

მიკროკონტროლერი Arduino;

დაპროგრამება და პროგრამირების ენები;

3D დიზაინი და ვიდეო ედითინგი.

დარეგისტრირება შეუძლიათ 10-დან 15 წლამდე ასაკის, ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოზარდებს.

პროექტი ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.